

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი  
და კსლების ცხოვართათვის. იოან. 10—11.

გვალე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული  
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

შოველით ჩემდა ყოველნი და შურალნი და ტვირთ-მძიმენი და  
მე განვისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 21

1883—1897

15 ნოემბერი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“	„მწყემსი“
12 თვეით . . . 3 მან.	12 თვეით . . . 5 მან.
6 — . . . 2 — 6 — . . . 3 —	

შულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით:  
ნიკოლა ჩამალია „Mikemsi“ უ „Nastyr“. „

იმპერიალის მარშის სამღვდელოების უკანასკნელი კრების საზურალოები.

უელა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელიც  
იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილი, ვრცლად და გასაგე  
ბად უნდა იყვნენ ავტორთაგან წელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვეის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დწერილიც და  
თარგმნით დაიბეჭდებიან.

რეთის ეპარქიის სანთლის ქარხნის და საეკულესიო  
ნივთების საწყობის საქმეების შესახებაც და ლექსეუმის  
მაზრის სამღვდელოების იმერეთის ეპარქიაში შემო-  
რიცვის გამო. საგნები და წინადადებანი, რომელ-  
იც ამ კრებას მიეცემა განსასჯელად და გარდასაწ-  
ყვეტად, სწორეთ საპატიო და მეტათ რთულია და  
ვისურვებთ, რომ სამღვდელოების კრებამ გამოიჩინოს ჯეროვანი გამჭრიახობა მათ გარდაწყვეტის შესახებ.

ჩვენ არ ვგონებთ, რომ ისე ერთგულად ყურს  
უგდებდეს სამღვდელოების კრების მოქმედებას სა-

ამ მიმღინარე თვის 17, 18 და 19 რიცხვებში  
იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების  
მორიგი კრება დანიშნული. კრება დანიშნულია სა-  
სულიერო სასწავლებლის საქმეებისა გამო, მაგრამ,  
როგორც სასულიერო მთავრობის განკარგულებიდან  
ჩანს, ამ კრებაზე სამღვდელოების დეპუტატებს ექნე-  
ბათ მსჯელობა სასწავლებლების საქმეთა გარდა იმე-

ზოგადოდ და ჩვენს იმერეთის ეპარქიაში — ვანსაკუთ-რებით, ამ კრებათა დაარსებიდან ისე როგორც ჩვენ. არასოდეს არგაგვიშვია კრება, რომ არ დაგჭრებოდეთ და ჩვენი ძმური რჩევა ამა თუ იმა კითხვისა-მებრ არ გაგვეზიარებინოს სამღვდელოების კრები-სათვის. დღესაც ჩვენის მხრით გვსურს მივმართოთ ამ უკანასკნელ რიგის სამღვდელოების კრების დე-პუტატებს ჩვენი ძმური რჩევით და მოსაზრებაებით. მიიღებს და მიაქცევს ყურადღებას თუ არა ჩვენს მოსაზრებათა სამღვდელოების კრება,— ეს მისი საქმე და სურვილია...

სამღვდელოების დეპუტატების მოვალეობა დი-დი და საპატიო მოვალეობა არის, თუ კი მას კაცი ასრულებს ჯეროვანად. მაგრამ თუ დეპუტატება თა-ვის მოვალეობა კარგად არ იცის, ან იცის თავის დიდი მოვალეობა, მაგრამ სავნების და წინადაღება-თა გარდაწყვეტის დროს ხელმძღვანელობს თავისი პირადი სარგებლობით, ნათლიაობით, რომელიმე გავლენიანი პირის მიფერებით და ყურ-მოჭრილ ყმობით; თუ იგი თავის აზრს და მსჯელობას არ შეარობს საზოგადო საქმის სასარგებლოდ, არამედ ცდილობს ვისმეს ასიამოვნოს და ან აწენინოს, ჯიბ-რი გაუწიოს და გულის ჯავრი ამოიყაროს, მაშინ ის დეპუტატი კი არ არის სამღვდელოებისა, არამედ მტერი და დამღუპველი თავის მარწმუნებელთათვა. 1868 წლიდან თვალ-ყურს ვადევნებთ სამღვდელო-ების კრების მოქმედებას და უნდა აღვაროთ, რომ ამ კრებათ დიდი ღვაწლი მიუძლეს საზოგადოების წინაშე. თითქმის ყოველ კრებაზე დასწრებიან ახი-რებული მსჯელობის დეპუტატები, ხშირად სამღვდე-ლოებისათვის ძალაც დაუტანებიათ ზოგიერთი საქ-მის გარდასაწყვეტად, მაგრამ ხმის უმეტესობას მაინც სიმართლის შხარე დაუკავებია. ერთ კრებაზე რომ ჟემდარა დეპუტატები, ერთ კრებაზე რომ მოტ-ყუებულან იგინი და არ მიუღიათ კეთილი რჩევა მეორე, ჟემდეგ კრებაზე გაუსწორებიათ. წინეთ თუ დეპუტატები რიგიანად ვერ მიხვდებოდენ საქმეს და რიგიანად ვერ გადასწყვეტდენ მას, მიეტევებოდათ მათ, რადგან დიდი ნასწავლები არ იყვნენ, მაგრამ დღეს ეს არ მიეტევება სამღვდელოების დეპუტატებს, რადგან უმეტესობა სემინარიაში კურს დამთავ-რებულნი არიან.

ზოგიერთ პირებს ისეთი აზრი აქვთ შედგენი-ლი სამღვდელოების კრებებზე, რომ ვითომეც მათი

არსებობა საზარალოც იყოს!.. რასაკვირველია, ამის-თანა პირების აზრით სამღვდელოების ცრებების მო-სპობა სასარგებლოც არის, რადგან მაშინ უფრო აღვილად აისრულებენ იგინი თავის გულის წადილს. ამისათვის უმეტესად უნდა ეცადოს სამღვდელოების კრება, რომ მათი მსჯელობა რიგიანი, გამჭრიახე და კანონიერი იქნეს.

რომ სამღვდელოების კრების მსჯელობა და გარდაწყვეტილება რიგიანი, კანონიერი და საფუძვ-ლიანი იყოს, ამისათვის საჭიროა, რომ მსჯელობის დროს დეპუტატებმა ყურადღება მიაქციონ საბაასო საგანს. თითოეულ დეპუტატს სახეში უნდა ჰქონდეს მხოლოდ ეს საზოგადო სარგებლობა და კეთილი საქმის დახმარება. თავისი კერძო ინტერესი, ნათ-ლიაობა, მეგობრობა, ყმობა და ხათრი დავიწყებული უნდა იყოს ყველასაგან, თუ საზოგადოების სარგე-ბლობა ამას მოითხოვს.

ხშირად გამჩნევთ, რომ ორიოდ-სამიოდე დე-პუტატს პირობა მიუკიათ ერთმანეთისათვის, რომ თავისი აზრი გაიყვანონ და უკულმართად განუმარ-ტებენ დეპუტატებს ამა თუ იმ წინადაღებათა. ხში-რად მოხდება ხოლმე, რომ უმეტესობა დეპუტატე-ბისა ზოგიერთ დეპუტატების უკულმართ მოსაზრებას არ ემორჩილება. ზემოხსნებულნი დეპუტატი თა-ვისი აზრის და სურვილის შესასრულებლად ერთ ნაირ ღონეს ხმარობენ. იმ რაში მდგომარეობს ეს ღონე. ერთ უბრალო საგანზე ასტეხენ გაუთავებელ მსჯელობას და შევნიერ დროზე უთავბოლო ბაასობით ისე დაღალვენ კრებას, რომ ბოლოს უმეტესობა დეპუ-ტატებისა დაქანცულნი თანახმა გახდებიან და ძა-ლაუნებურად ხელს აწერს ეურნალზე... კრებამ ყუ-რადღება უნდა მიაქციოს ამისთანა დეპუტატების საქციელს და არავის არ მისცეს უმნიშვნელო ბაა-სობის ნება. ამისთვის საჭიროა, რომ ერთ დღეს გარ-დაწყვეტილი უურნალები იმავ დღეს იქნენ ხელმო-წერილი დეპუტატებისაგან, რომ ერთჯერ გარდა-წყვეტილი განჩინება მეორეთ და მესამეთ არ ირ-ღვევოდეს და ხელახლი განჩინება არ დგებოდეს, როგორც ეს მოხდა ამას წინედ სამწუხაროდ.

რა საკვირველია, ზემო ჩამოთვლილი უწესობა-თა ადგილი არ ექნება, თუ თავსმჯდომარე კრებისა შეგნებული და კრებათა შესახებ გამოცემულ კანონ-მდებლობათა კარგად მცოდნე იქნება. მაგრამ ხან-

და-ხან თავსმჯდომარის აღლებევის საქმეშიაც ცხშირად კოჭლობს სამღვდელოებას კრება. ხშირად გაგვიგონია დებუტატებისაგან: „თავსმჯდომარედ ხან ერთი იყოს და ხან მეორე. ერთს რათ უნდა ჩავაცივდეთ? ერთი წინეთ იყო, ეხლა სხვა გამოვსცადოთ“. ამ ნაირი შველობა მოკლებულია ლოლიურ აზროვნებას. თავს მჯდომარე უნდა იყოს ჩვენი სასწავლებლების წესდებულებათა მცოდნე და ამასთან კრებების წეს-წყობილებათა შეგნებული კაცი. როცა საქმე მიდგება კანონის ცოლნასა და განმარტებაზე, თავსმჯდომარე ამ ცოდნას დებუტატისაგან კი არ უნდა ითხოვდეს, თვითონ უნდა უხსნიდეს და ატყობინებდეს კრებას. ამასთან თავსმჯდომარე უნდა იყოს გაბედული და აღმასრულებელი სიმართლისა და კანონისა. ამისთანა დარიგება საჭირო იყო სამღვდელოების კრებათა პირველად შემოლების დროს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეხლანდელ დროშიც უსარგებლივ არ იქნება, რომ კრებამ ყურადღება მიაქციოს ამ საგანს.

ამ კრებას ბევრი წინადაღება მიეცემა და  
დღიდი გამჭრიახობაა საჭირო დეპუტატების მხრით,  
რომ ამ წინადაღებათა შესახებ ჯეროვანი შსჯელობა  
იქონიონ. ყველა საბაასო საგნებზე, ჩვენის აზრით,  
უმეტესი საინტერესო და კრებისაგან დიდის მოფიქ-  
რებით გადასაწყვეტი არის სანთლის ქარხნის წარ-  
მოების საქმე, ამასთან ეპარქიალური გამრიელის ქა-  
ლების სასწავლებლის საქმე. მართალია სამღვდელო-  
ებას ძლიერ ეძნელება სხვა-და-სხვა წყაროების გა-  
მონახვა სასულიერო სასწავლებლების ახალ ხარჯთა  
დასაფარავად, მაგრამ კრებამ თუ გამჭრიახობა იქო-  
ნია, ყველა მოთხოვნილ ხარჯებს დაფარავს ისე, რომ  
თავის ღარიბ ჯიბეს არ მიაღება. სად არის ეს წყა-  
როები? პირველი და უმთავრესი წყარო არის სანთ-  
ლის ქარხნის წარმოება. ამასთან ახლად შემოიტოვს  
ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოებასა და ეკკლესიებზე  
რიგიანად და თანაბრად გაწერა ყველა გადასახადე-  
ბისა, რომელთაც დღემდის იხდის იმერეთის ეპარ-  
ქიის სამღვდელოება. საჭიროა აგრეთვე, რომ სამ-  
ღვდელოებამ დააღვას რამე გადასახადი სასწავლებ-

დღის სასარგებლოდ იმისთანა მღვდლის შვილი-შვილებთა, რომელთა მამები გარიცხულნი არიან სასულიერო წოდებიდან და სხვა უწყებებში მასხურებენ. სხვაგან, ყველა ეპარქიებში სანთლის ქარხნების შემოსავალი დანიშნულია სწავლა-აღზრდის საქმეზე მოსახმარებლად. მაგრამ ჩვენში კი ყოველთვის შესაძლებელად მიაჩნდათ ამ ფულების საჩიუქრად მიცემაც და ეპარქიალური კანცელარიების საჭიროების დასაფარავადაც. იმ ამ საქმეს კარგად უნდა ჩაუკვირდეს სამღვდელოების კრება, თუ უნდათ, რომ სასწავლებლების კანონიერი მოთხოვნილებაც დააკმაყოფილონ და არც თავისი, უიმისოდაც, ღარიბი ჯიბე შეაწეონ.

დღეს გასაოცარი სურვილია აღძრული ზოგიერთ სოფლის მღვდლებში, რომ ქალაქში იშოვონ ადგილი. ამ მიზნის მისაღწევად ეს პირნი არაფერს არ ზოგვენ და მზად არიან სამი-ოთხი დაწესებულების მეთაურობა იკისრონ. მაგრამ კრება არას დროს არ უნდა შეაცლინონ ამისთანა პირებმა თავიანთი დაპირებით...

საეპარქიო საეკლეგიო ნივთების საწყობი, რომელსაც ძალათ ახვევენ თავზე სამღვდელოებას, სარგებლობას ვერაფერს იჩენს. ამ საწყობის დამარცხებელნი მოგებისაგან ბევრ რამეს პირდებოდნენ საქალებო სასწავლებელს, მაგრამ დღემდის ერთი პ. არა სჩანს. როგორც ამბობენ, ხსენებულ საწყობს აქვს დღეს შვიდი ათასი მ. ქონება. ამავე დროს ქონებია 6000 მ. ვალი. გაიყიდება თუ არა საწყობში დალაგებული ყველა ნივთები 7,000 მ. და ამოიგება თუ არა ნისიად გაცემული ნივთების ფასი, ამის წინდაწინ თქმა საძნელოა. რომ ხსენებული საწყობი ასეთი გაჭირებისაგან დაიხსნან, ზოგიერთები საჭიროდ რაცხვენ, რომ ეს საწყობი და სანთლის ქარხანა ერთმანეთს შეუერთონ და მარჯვენა ჯიბის ფული მარცხენას მოახმარონ. არ ვვონებთ რომ ეს სასარგებლო იქნეს და ან კანონიერი.



## სოფლის ცხოვრებიდან.

(გურიის სამრევ. სკოლ. მასწავლებელთა საყურადღებოდ).

თუ ვისმესთვის საჭიროა საფეხვლიანად მოწყობილი სამრევლო სკოლა, პირველად ჩვენი კუთხის, გურიის, მკვიდრთათვისაა. ხეირანი სამრევლო სკოლა პირდაპირ მაღამარა გერის მკვიდრთა უმთავრესი საჭიროებისა, უმთავრესი წლლულისათვეს. სახალხო სკოლების რაოდენობით ეს კუთხე სხვებზე წინა დგას, მაგრამ მიუხედავათ ამისა ზნეობრივის მხრით დაქვეითებული და უკან დაწეულია. ავგაცობას და ზნეობის შერტყევას ეკონომიკური სივიწროე იწვევს, მ გრამ ურველგან და უცელა ხალხში კი არა. ზოგან ამ გარემოებას სხვა მიზეზი უდევს სათავეში, და რომ პირუთვნელად გასინჯოთ, ჩვენი კუთხის მდგომარეობა, დარწმუნდებით, რომ ზნეობრივი სიწამხდრის მიზეზი სარწმუნოებრ-ვი, ზნეობრივი უვიცობა-გულებრილობა, სისესტედა სიდაბლეა. ამის დასაბუთებას ჩვენ არ გამოუდგებით აქ; მხოლოდ ორ მაგალითს დავასახელებთ. მკითხველ წრეს უთუოდ ეხსომება დათვე ტუდუშის მოკვლის ამბავი და ლანჩქუთში. ამ გვარივე საზიზდარი ფაქტი გამოირდა იქვე ახლოს, ს. ჯურუუცვეთში (აბხაძემ ჩუმათ მოკლა თვისი მეზობელი სოხაძე და გვამი რომ არ ეპოვნათ, ნავთი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა). ამ დანაშაულობათა ჩამდგნნი უცელა ნივთიერად შეძლებულნი იყვენ, და მიზეზი ასეთი საქციოლის გახრწნლი, ბეძაური ცხოვრების ტარების სურვილი იყო. ვინ ჩადის ქურდობას? ისინი, ვისაც აქვთ სალსარი თავს რჩენისა, რომ შრომა-გამრჯელობა არ ეზარეოდეთ, ტურილა უოფნა არ უუკარდეთ. თავის სურვილთა დასაკმაყოფილებლად სხვის ნაოფლარზე უჭირავთ თვლები, და სხვის უფლებისა, კუთვნილებისა და პიროვნების პატივისცემა გულში არა აქვთ. ამათ რომ უთხრათ „დარიბი ხართო“, დიდ შეურაცუათად მიიღებენ.

სადაც ეკონომიკური გრიზისია ავგაცობის მიზეზი, იქ ამის ჩამდენთ იმავე დროს კიდევ ძალზე უცემს სარწმუნოებრ-ვი გრძნობა, რის

გამო, პატივის ცემით ეპურობა ებჭელესიურ წესებსა, ჩვეულებათა. მაგრამ ჩვენში ესაც არ არის, და მაშასადამე ესცე იმის მოწამ ა, რომ აქ თავად-თავი სარწმუნოებრ-ვი გრძნობებია.

დღს თვით ცხოვრებამ დაგვუწინა თვლწინ, რომ როგორც კერძო, ისე საზოგადო ცხოვრება მ შინ არის მუჯღო, სიამოვნებიანი, როდესაც ხალხის უმრავლესობას შევნებული აქვთ ზნეობრ-ვი ჰემპარიტებანი და კანონები და ხელმძღვანელობან მით ურთიერთ შორის დამოკიდებულებასა და საზოგადო ცხოვრებაში. ეკონომიკური შეძლება დად, დღი ბეჭნიერებაა თ-თონ სწუხს თვის გულში ასეთი საქციოლის ხალხისთვის, მაგრამ, როდესაც ზნეობრივად, სულით მდაბალია ხალხი, მაშინ როგორც ეკონომიკური სივიწროე, ისე სილადეც დამდგრეველია. პირველი იწვევს ავგაცობას, მეორე კი ფუფუნებას, მხოლოდ თვისი კუჭის სამსახურს, თვისი მუცლის გაღმერთებას... თვით ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ხალხის კეთილ-დღებისათვის უპირველესია კეთილ-შობილური სული და გული, სიუვარული და თანაგრძნობა. ცხოვრების ასეთმა დაღადმ მაღალი კიდევაც უმაღლესი მთავრობის სმენამდე და ი მისი წყალობით აღორძინებენ კიდევაც ისეთი კოლეგი, რომლებსაც ამ მოთხოვნილების დაკავშირობულება აქვთ მიზნად.

ამ რიგად დედა ჭაზრი სამრევლო სკოლებისა ის არის, რომ «პოზარდ თაობას აღუზარდოს, განუმტკიცოს, გაუღვიოს სარწმუნოებრ-ვი გრძნობები, სულიერი ძალნი, ჩანქერგოს მას სულისა და გულის სილრმეში ქრისტიანობრივი სწავლა-მოძღვრება, ე. ი. სიუვარული ღვთისა და მოუვსისა და ამ გზით აამაღლოს დაცემელი ზნეობა ხალხისა».

როგორც ზემოთ აღვნიმეთ, გურიის მგვადრთა უმთავრესი საჭიროებაც ეს არის. მაგრამ როგორ უნდა მიაღწიონ ამ სკოლებში თვის დანიშნულებას, როგორ უნდა დაედვან ამ წულულს მაღამოდე? ერთი, რომ მტრები ამ სკოლებს ჩვენს კუთხეშიაც ჰეკანან. მათ არ თანაუგრძნობს და არ ესარჩელება ადგილობრივი პოლიცია. ამ როგორ თვის წინედ ს. სურებში ცილობა ჩამოუარდათ სოფლების სკოლის დაარსებაზე. სამრევლო თუ სამინისტროო? ამის

გამო აქაურმა პოლიციის წინმომადგენელმა ასე განემარტა ურილობაში ადგილობრივ მღვდელის ტრაპეიდეს: «რა თქვენი საქმეა, მამაც, სკოლის მეთაურობა, სკოლაში სწავლება, როგორც მე წირვის ნება არ მაქვს, არც შენ სწავლებისო». ს. ერკეთში ურილობა ქონდათ ასეთსავე საგანზედ. როდესაც ერთმა სოფლელმა თავისუფლად წარმოსახვა: «მე სამრეკლო სკოლის დაარსება მინდა, ადგილობრივმა ბოქაულმა სილა გაარტყა რას მიედებ-მოედებით», და ხმა გააგმენდია. ამასთან ვერც ხალხი იძლევა შემწეობას. საზოგადოებას თათო სკოლის შენახვა უკვე აქვს ნაკისრები და, რასაკვირველია, სილარიბისა და თან შეეგნებლობისა გამო მეორე სკოლის შესანახად შემწეობას ვედარ იმეტებს. მით უფრო, რომ მათ არ აქვთ შეეგნებული განსხვავებული მიზანი ამ სკოლებით. ეს ახალი ხილია და მაშასადამე ჯერ ვერ ხედვენ მის ნაყოფს, ხოლო მდაბიო ხალხი მაშინ გაგიწევს თანაგრძნობას, რაც უნდა საქმე იყვს, როდესაც წინ-და-წინვე უჩვერებთ მის ნაყოფს, სარგებლობას, თორემ სიტუაცირ დაპირებას ვერ ერწმუნება. მეორედ, ჯერ ვარც მთავრობამ უჩინა იმდენი ნივთიერი სადასარი, რომ უზრუნველ გახადოს ნივთიერად. მ. შროგორა და ვინ უნდა ჩაუდგას ამ სკა-ლებს სიცოცხლე?

ცხადია თუ რა უძლეველი ენერგია, რალ-ხის სიუვარული და ყაველ ამასთან თვით გან-ვითარება ესაჭიროებათ მასწავლებელთ და გამგეთ სამრეკლო სკოლებისას საქმის ასეთ მდგომარეობის დროს. უნდაც რომ უველავერი ხელს უწყობდეს, არათერში ნაკლულებნებას არ გრძნობდეს, მაინც ვერ გამოიდეს მოსალოდნე და ნაყოფს სკოლა, თუ მისი მასწავლებელი საქმის სიუვა-რულით არ არის აღჭირვილი. მხოლოდ მტკიცე ენერგიას, მაგარა ხასრათის მეორეს შეუძლია სძლიოს უველ ამ დაბრკოლებათა, გაჭირება და ხელ მოკლეობათა. ყაველი სიძნელე, რო-მელიც წინ შეეჩერება აქ მასწავლებელს გულს კი არ უნდა უტეხდეს, პრი იქით უნდა ამხნე-ვებდეს, მხოლოდ მაშინაა მისი მომა-ვალი. ხალხის სიუვარული თავ-მიდებით მას-წავლებლის ჯაფა-შრომისა. მასწავლებელს უნდა

ასულდგმულებდეს ასეთ გარემოებაში ის, რომ ემსახურება წმიდა ჰაზრის, და არა თავის რჩენა. წინააღმდევ მისი მოქადაგება უსიცოცხლია. ყო-ველი ნაკლი, გაჭირვება ზნეობის წინააღმდევი მოვლენა მისი მეზობელია, მშობელი ხალხის ცხოვრებაში გულს უნდა ესობოდეს, აღევლებ-დეს, მათ საბრძოლველად უნდა იწვევდეს. მხო-ლოდ მაშინ იშრომებს ის თავდადებულად, ერთ-გულად...

მაგრამ ჯაფამ რომ უნაყოფოდ არ ჩაიაროს, ამისათვის ხერხია საჭირო, ე. ი. ცოდნა საგნის შეგნება, თეით-განვითარება. უღველერვე სამსახუ-რის და თანამდებობის პირს ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული, გაფალისწინებული მიზანი თვისი მოქმედებისა. ის წერტილი, რომლისკე-ნაც ის მიისწრავების, და ის გზაც, რომელმაც უნდა მიაღწივითს მას, თთრემ მასწავლებელს ხომ უფრო მეტად. ამასთან ის უნდა ცნობდეს ჩვენი გუთხის მკვიდრთა ზნეობრივსა და გონებ-რივ მდგომარეობას, მათ საჭირობას, ნაკლის, მით უფრო, რომ ფარგალი სწავლებისა, რო-მელსაც მისდევნ საერთ სკოლები, უფრო ვიწ-როა, განსაზღვრული, და მაშასადამე აფილად მისაღწევი. ხოლო ფარგალი აღზრდისა, რაც სამრეკლო სკოლებს :ქვს დედა ჰაზრად, განუ-საზღვრელი, ვრცელი, ძნელად მისაღწევი. პირველი მოქმედებს კონებაზე, მეორე კი სეჭ-სა და გულზე. ამიტომ აღმზდელს უნდა შეეძ-ლოს გამთცნობა მოწაფის სულისა და გულის თითოეული ფარული მოძრაობისა, ბენებრივი მიზრებილებისა, თვისებისა, სურვილებისა, და შესაფერი ზედგავლენის მოძენა მ.თზე. აგრეთვე მიუცილებელია ხალხის შინაურული ცხოვრების ცოდნა, თუ რას თვისების უმაწვილი ოჯახში. ვინც კი ჩაჭერივებია ჩვენი კუთხის მეტადრე მდაბიო ხალხის შინაურულ უოფას, ის დამერ-წმუნება, რომ აქ ბავშებს ვერათერი დამრიგე, მასწავლებელი და მაგალითის მაჩვენებელი ჰქავთ. ის კი არა და ფიზიკური მოვლაც, რაც უფრო ადგილი მოსახერხებელია მათგან, იგიც უოვლად უურალებოა. სკოლა ამის შევსებასაც უნდა შეცადოს. მას ცხოვრებაში და ოჯახებშიც უნდა შექმნდეს თვისი მოძღვრება როგორც სტუ-რი სწავლებით, ისე მაგალითითაც. უფრო მა-

გალითით. ერთი მეცნიერი ამბობს: «ადამიანი არის არსება, მიღლებილი მიმხადველობისადმით». ფილი, ხალხი შეუმჩნევლად ითვისებს და იღებს სწვის მაგალითს. ყმაწვილს მოელის საზოგადო ცხოვრებაში გასვლა, სადაც შეეჩერებიან ათასნაირი მდგომარეობის, ხასიათის, მიმართ ულების პირნი, მრავალ ნაირი პირობები. მაშასადამე, ის ადრიანად უნდა შეეჩვაოს საზოგადო ცხოვრებას წესრიგის ატანას, როგორც სკოლაში ამხანაგებთან, ისე ოჯახშიაც... ამაებზე ჩვენ იმიტომ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, რომ უკველოვე ესები გარიცხულია ჩვენი კუთხის სახალხო სკოლების პრაქტიკისაგან, უკველოვე ესები ნაგლია ჩვენი სკოლებისა და მასადამე კარგად უნდა აღინიშნონ....

გურიაში სამრევლო სკოლების მასწავლებლებად დაბალი სასწავლებლივიან-ოთხ-კლასი ნი სასულიერო და სამოქალაქო ნარმალური სასწავლებლივიან გამოსული არან, სადაც არამც თუ სწავლება, არამც ხსენებაც არ არა პედაგოგის და ლიდაკტი კისა. მაშასადამე ესენი მთ უფრო საჭიროებენ თვათ განვათრება, პედაგოგის და დაზაგტი უმთავრესი კანონებს შეგნებას და გამოცდალების შეძენას.

მაგრამ საქმე ის არის, რამ უნდა აღძრას ასეთი დიდ სელოვნება მათ გულში და ასაზრდოოს იგი? საიდან უნდა მოხერხონ ამ სამკაულთა შეძენა, როდესაც არც ჯამაგრი ეძლევათ ამ მასწავლებელთ და საკუთარც არაფერი აქვთ მათ?

ამისათვის, თუ ნავთერი აღარა, ზნეობრივ, შემწეობა, გამხნევება და ნუგეში მაინც უნდა ეძლეოდეთ, ვასგანაც ჯრ არ.... მეორედ, მათთვის უნდა დარსდეს სრული საეკლესიო წიგნთსაცავა. მათ უნდა აქეზებდეს საქმეზე ადგილორვა განყოფლება საბჭოთ. მაგრამ ამაზედ შემდეგ წერილში მოვიღებარაკებთ.

მღ. დ. ჩხაიძე.



## ჯუმათის ტაძარი.

ჯუმათის ტაძარი გაშენებულია—მოთავსებულია ეხლანდელ გურიის სამზღვებრივი შორის, ერთ ჩახატაურის მთის მწვერვალზე, რომელიც ჰყოფს ქართლიმერეთის ქედს და ჩაჰყება გურიის ჩრდილოეთის ნაწილს, და ყოველ თავის სივრცეზე ჰყოფს აუზი მდ. სუფსისა მდ. რიონის აუზამდინ<sup>\*)</sup>. ჯუმათის მთას — კუნძს სიმაღლით, თითქმის, მხოლოდ სამებას ქედი უდრის, რომელიც მოშორებულია ჯუმათზე 8 ვერსის მანძილზედ. პირველი იქნება სიმაღლით 1,644, ხოლო მეორე 1704 ფ. ზღვის პირიდან. ჯუმათიდან ოზურგეთამდის იქნება არა უმეტეს 25 ვერსისა. ამ გზით მიმავალთ წინ ხვდება მდინარეები: ნატანები, სკურდები და სუფსა, რომელთა შორის 5 ვერსი კარგა საგრძნობელი აღმართია გასავლელი. ეს აღმართი თვით ჯუმათის კუნძის ბოლოდან აყოლებული დაფარულია სქელი მცენარეებითა; ცოტა მოგზაურობის შემდეგ თქვენ უახლოვდებით ერთ მიხვეულ-მოხვეულ და უსწორ-მისწორო გზას. აქ თქვენ თვალწინ თან-და-თან იშლება პირველად აჭარა-ახალციხის ქედი, მერმე ზღვა და ბოლოს თვით უმაღლესი, დიდი და დიდებული სურათი, რომელსაც თქვენ არც კი მოელოდით.— ეს გახლავთ ჯუმათის კუნძი და მასზე შვენიერი თლილის ქვისაგან აგებული ტაძარი. აი, რას სწერს ნეტარ-ხსენებული ისტორიკოსი დ. ბაქრაძე თვის წიგნში «ჩახ. ვთ ძრე. სამ. ხრ.»-ში ამ კუნძის (ჯუმათის) შესახებ: «მე, თითქმის, მთელი კუთხე მაქვს მოვლილი და უნდა გამოვტყოდე, რომ მთელ კავკასიაში არ შევხვედრივარ ისეთ დიდ-ვაება კის სახედავს,— (ამაღლებულ კუნძს), როგორიც ვიხილე აქ ერთს ზაფხულს 1873 წ. საბედნიეროდ. ჩემის მისვლის წინ დღეს შვენიერი დარი დადგა და მეორე დღეს ჯუმათი გაწმენდილი იყო ნისლისაგან,\*\*) ამ დროს ჩემს წინ იყო გარდა-შლილი, თითქმის, ასე ვთქვათ, მთელი სამხრეთის კავკასიის ნაწილი: ჩრდილოეთით—გიგანტის ცენ-

\*) ა. ჩ—ქარ. „ჩახ. 1 ზ ქ. სამ. ხრ.“

\*\*) ისეთი ნილი იცის ხოლო ჯუმათში ავდრიანობის დროს, რომ გზის გაგნებაც კი გაუჭირდება აღამიანს.

ტრალური ქედი თავისი მუდა-უამ დათოვილი კალ-თებით,—ელბრუსიდან დაწყებული თავდება ყაზბე-გის მთით. ჯუმათიდან შევიძლიათ აგრეთვე დაინა-ხოთ ცხადათ შემდეგი მდინარეები: ენგური, ხოპი, ტეხური, ცხენის-წყალი და რიონი, აღმოსავლეთით — საქართველო-იმერეთის ქედი; სამხრეთით — აჭარა-ახალციხის ქედი თავისი მშვენიერი თოვლიანი „მე-ფის-წყაროთი“, ზოტიმერე და სომლია; და მათ ქვეშ მთელი აღლვებული ზენაპირი გურიისა; მერმეთ ბათუმის ნაეთ-სადგური (ბუხტი). ბათუმის მოცილე-ბით — შორს მდებარეობა ტრაპიზონისა და შემდეგ მოთეთრო ფოთის მთა, ანუ ლაზისტანის ქედი; დასავლეთით — მთელი შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირის ნაწილი, თავისი კუნტით (ზღვაში), და ტოტით, და მის ნაპირზე გაშენებული ქ. ფოთი, რომლის მახლობლად არის დიდი ტბა **«პალიას-ტომი»** — ქალაქი, იმდენად ჩამონაგრეული, რომ ადა-მიანს შეუძლია კიდევ დასთვალოს მისი ქუჩები და სახლები. ისე კარგად დასკურერით შავს ზღვას, რომ შევიძლიათ დაინახოთ მასზე მიმავალი გემები და ნავები (სანდალი). ასეთია პანორამა ჯუმათისა». — ჯუმათში დღით, კარგი ამინდის დროს მოხიბლული ადამიანი, სალამოს, მზას ჩასვლის დროს, სულ სხვა ნაირად მოიხიბლება, სულ სხვა ნაირ შთაბეჭდი-ლებას მიიღებს: — ხელად შეიცვლება ჰაერი; მთის მწვერვალი ირწყვება, ინამება პირველად თვალის მომკრელი, დამაბრმავებელი ფურფურის მსგავსი ბრწყინვალებით, რომელიც გადადის სხვა-და-სხვა ტოტებში და ბოლოს ზღვაში; თავის რიგში იწვის ცეცხლის მსგავს ნაპერწყლებივთ, სანამ არ დაინთქება მზას უკანასკნელი სხივები. მზე რომ ჩადის, ასე გეგონებათ: ბურთი მოწყდა და ზღვაში შთავარდაო!.. ჯუმათში ცოტა არ იყოს, წყლის სიძვირეა: ერთად-ერთი ჭა არის ამოყვანილი სულ მთის მწვერვალზე, რომლის წყალი ძლიერ საქებარია. მცხოვრებთა რიცხვი ჯუმათში ძლიერ მცირეა — ასე 5—10 მოსახლე თუ იქნება, მეტი არა.

ჯუმათს შემოქმედს შემდეგ ეჭირა მეორე თვალ-საჩინო ალაგი: ის იყო მდიდარი საპატიო საქათეთრო ადგილი გურიის ეპისკოპოსთა, ის იყო აგრეთვე ბევრი უძრავი მამულების და ძვირფასი ხა-ტების პატრიონი, მაგრამ დღეს, დროთა ვითარებისა გამო, სად შთაინთქა ისინი, მხოლოდ ერთმა ღმერ-თმან უწყის... არავინ უწყის, შემოქმედია უწინ იგე-

ბული, თუ ჯუმათი. შემოქმედის მონასტერი იმყო-ფება ასე 20 ვერსის მანძილზე ჯუმათთან როგორუც აქაური მოხუცნი მცხოვრებლები ამბობენ: «ჯუმა-თიცა და შემოქმედიც თამარის დროს არიან აგე-ბულნიო». ჯუმათში საეპისკოპოსო კათედრის დაარ-სებამდე, ის (ჯუმათი), როგორც ამბობენ, იყო მო-ნასტერი. ჯუმათის ტაძარზე სამხრეთით მიშენებულია პატარა ეკკლესია ღვთის-მშობლის სახელზე; დასავ-ლეთით კი ძველი პატარა სტოვა (კარი-ბჭე), რომე-ლიც ეხლა საყარაულოდ არის ქცეული. ძველი წარწერები ტაძარში ზემოთ გადათეთრებულია, ხო-ლო ქვემოთ-კი ხელ შეუხებელია. ჯუმათის ტაძარი ნაკურთხია მთავარ-ანგელოსთა მიხაილ და გაბრიელის სახელზედ, რომელთა ნახატიც ფ-დ ძველის-ძველია და ძვირფასი, რომლის დღეობას (8 ნოემბერს) დიდ ძალი ხალხი აწყდება როგორც ახლო-მახლო სოფ-ლებიდან, ისე შორიდანაც და კარგა ბლობა საწი-რავები შემოდის თუ ფულით, თუ მოზვრებით, და სხ... ამ მთავარ ანგელოსთა ხატზე შემდეგი ხუცური წარწერაა: (რომელ დროს-კი არ არის ნაჩვენები). **«ერისთავი ერისთავის ძე ვარდან ვარდანიძე; ლიპა-რიტ ვარდანიძე; მარუშინ ვარდანიძე, ანუ შეუღლე ხატუტო; სეანგოთის ერისთავი და მანდათურთ-უხუ-ცესი იოანე; მსახურთ-უხუცესი....; გურიელი ბეჭ-კენ, ცოლი მისი მარიაში და ვაჟი მიქელი; ერისთავი ერისთავისძე სვანეთის ერისთავი ლადიანი გიორგი, მეუღლე რუსულანი და შვილები მისი; მანდათურთ-უხუცესი ვამეხი და გურიელი კახაბერი; და ბოლოს გურიელი გიორგი მეუღლითურთ ელენეთი, შვილე-ბით მამია და კვეცუბადეთი.**

ჯუმათლებზე, ანუ ჯუმათის მწყემსთ-მთავრებზე ჩვენ გურიის სიგელით ვიცით, რომ ისინი იწოდე-ბოდნენ „ჯუმათელ მიტროპოლიტებად“ და მათ შო-რის ეხლაც ცნობილი არიან: სეიმონ ჩხეიძე, რო-მელიც სცხოვრებდა როსტომ გურიელის დროს და რომელიც მიიცვალა 1764 წ. ნიკოლოზი, რომელ-საც ეკავა აფხაზეთის სამიტროპოლიტო-სამეფო ტახ-ტი 1641 წ., მაქსიმე, რომელიც იხსენიება გიორგი III გურიელის სიგელში, მიიცვალა 1684 წ., იოანე ბერიძე, ჯუმათლად დაწესდა 1688 წ., გაბრიელი, რომელიც ცნობილია გიორგი IV, გურიელის სიგე-ლით; მაქსიმე შარვაშიძე, რომელიც სცხოვრებდა გიორგი V გურიელის დროს და ბოლოს, ნიკო-

ლოოზ შარვაშიძე, რომელიც სკხოვრებდა XIX  
საუკუნის პირველ მეოთხედში.

ჯუმათი ეხლა არის სამრევლო ტაძარი სოფლელთ  
ჯუმათლებისათვის. ჯუმათი ცნობილია აგრეთვე თა-  
ვისი შესანიშნავი წმინდა ჰაერით. ჯუმათის ჰაერი  
ბევრით არ ჩამორჩება „სომლიის“ ჰაერს (სომლია  
მთის სახელია, რომელიც შორავს ოზურგეთს 15  
ვერსის მანძილით). ჯუმათში საზაფხულოდ კარგა  
ბლომად იკრიბება ხალხი, მარა, სამწუხაროდ, სახ-  
ლების სიძეირეა, თორებ ხუთი და ათი იმდენი შე-  
იკრიბება ხოლმე, რამდენიც ეხლა იკრიბება. ბევრი  
ამობარეგებულა ხოლმე აქ საზაფხულოდ, მარა, რაღ-  
განაც სადგომი ბინა ვერ უშოვია, გულ-დათუთქუ-  
ლი ისევ უკანვე გაბრუნებულა. არა ერთი და ორი  
სასიკვდინე ავათ-მყოფი განუკურნავს ჯუმათის ჰაერს  
ისეთები, რომელთაც, ექიმების აზრით, რამდენიმე  
დღის შემდეგ სიკვდილი მოელოდათ... ურიგო არ  
იქნება, რომ აქ ვინმე შეძლებული პირი სადგომს  
სახლს ააშენებდეს და უფასოდ თუ არა, ფასით მაინც  
აქირავებდეს იმ ავათ-მყოფთა, რომელიც იმისა გა-  
მო, რომ სხვა რომელიმე აგარაკზე წასვლის ძალი  
და ლონე არ შესწევთ უფლებისა და შეუძლებ-  
ლობისა გამო, უდროვოთ ესალმებიან წუთი სოფელს...

ჯუმათის ტაძრის ქვემოთ, ასე 40 საუ. არის  
პატიარა დავაკება, სადაც ყოველ წლობით ბაზრობა  
იმართება 15 სექტემბრიდან 30-დე, სახელწოდებით:  
**ჯუმათობა**. ზემოხსენებული ბაზრობა ძლიერ უდროო-  
დროს იმართება—ის დროს, როდესაც მთელი წლის  
სარჩო-საბადებელი მაშინ აქვს აღამიანს მოსაწეველი,  
ხალხს დრო არა აქვს ვაჭრობისა და თავისი მონა-  
წევარის ბაზარში გამოტანისა, ამისთვის ვაჭრები  
ძლიერ დაზარალებულები მიდიან, ასე რომ დანა-  
ხარჯსაც კი ვერ ადგენენ. ჩვენის აზრით, ურიგო  
არ იქნება, რომ ზემოხსენებული ბაზრობა გაიზარ-  
თებოდეს ან ივნისში და ან აგვისტოში, (როგორც  
ამასვე ამტკიცებდა გაზ. «კვალში» ბ. ს. ჩხ—ლი);  
მაშინ ხალხს თავისუფალი დროც აქვს და აქ სააგა.  
რაკოდ მოსულნი ხალხიც იმოვიან ხოლმე საჭირო  
ხორავეულობას და სხ...

გართლომე ძილაძე.



კავკასიის იურიდიულ საზოგადოებრივი კოდექსი

25 ოქტომბერი.

შაბათს, 25 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის  
სასამართლოს სადგომში კრება ჰქონდა კავკასიის  
იურიდიულ საზოგადოებას. თავმჯდომარეობდა ტფი-  
ლისის გუბერნატორი ა. თ. ბიულე. კრებას დაქტ-  
ონენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გო-  
ლიცინი, მისი თანაშემწე გენერალ ლეიტენანტი ა.  
ა. ფრეზე და თითქმის, ყველა დიდ-კაცობა თფილი-  
სის ქალაქისა, დაიწყო კითხვა თავისის რეფერატისა  
ნაფიცმა ვექილმა ა. ს. ფრენკელმა:

თუ შევადარეთ ის წეს-რიგი ქვეყნის გამგეობისა,  
რომელიც არსებობდა კავკასიელთათვის (ქართველე-  
ბი, თაორები, მთიელები, თუშები, ფშავები, ხევსურები,  
ოსნი და სხ.) საქართველოს მეფეთა, თათრის ხანთა  
და სპარსეთის შახთა დროს იმ წეს რიგთან, რომე-  
ლიც შემოლებულ იქნა საქართველოს რუსეთთან  
შეერთების შემდეგ, დიღს განსხვავებასა უნახავთ.  
მცხოვრებელთ სასტიკად, მტარვალურად ეპყრობოდ-  
ნენ, ერი თუმცა მოუხეშავი, გაუნათლებელი და  
სასტიკის ზნე-ჩვეულების მიმდევარი იყო, მაინც  
შიში ჰქონდათ სასტიკის მმართველებისა და ემორ-  
ჩილებოდნენ იმათს ბრძანება-უფლებას. მაგალითებრ,  
თათრის ხანის ნება-სურფილი კანონი იყო; ვინც არ  
დაემორჩილებოდა ამ კანონს, უმოწყალოდა სცემდ-  
ნენ, ყურებსა, თავსა და ხელ-ფეხსა სჭრიდნენ უკით-  
ხველადა და საქმის გამოყენებლად. იმათს თვით-ნე-  
ბობას საზღვარი არა ჰქონდა. ასევე იყო დაღესტან-  
შიაც. მეორმოცდაათე წლებში ყაზი-კუმუხში ხანის  
უინის გამო იმისს უფლებასა ქვეშე მყოფი საშინ-  
ლად აწამეს: გახურებულის შანთებითა სწვავლნენ,  
მცერდზედ ცეცხლს უნთებდნენ, ხან-და-ხან მოპარ-  
სულს თავზედ ცომისაგან გაკეთებულს ჯამს ადგამ-  
დნენ და შიგ მოდულებულს ზეთს ასხამდნენ. ასევე  
სჩაღიოღნენ თათრის ხანები ამიერ-კავკასიაში. ხოლო  
შემდეგ საქართველოში და თათრის სახანოებში  
უფლება შესუსტდა, რადგან მეფენი და ხანი ერთ-  
მანეთში ვერ მორიგებულიყვნენ და მაშინ, როდესაც  
რუსეთის მთავრობამ შემოდგა აქ ფეხი, ერი სრუ-  
ლიად თავ-შვებული და დაუმორჩილებელი იყო.  
შემოდგა ფეხი რუსეთის მთავრობამ თავისი



ჰუმანიურის აზრ-შეხედულებითა და საქმეთა ფრთხილის გამოძიებით. აი, რას ამბობს კავკასიის კარგად შეცოდნე თავ. მ. ს. ვარანცოვი თავისს კავკასიის შესახებს წერილში, როდესაც აღნიშნავს, რა მდგომარეობაში დახვდა საქართველო რუსეთის აქ შემოსვლის დროს: „ქართველები ისე მისჩვევიან სასტიკს მართვა-გამგეობას თავიანთ მეფეების მიერ, რომ ჩვეულებრივ დინჯი, მშვიდი და კანონზედ დაფუძნებული უფლება რუსეთის მოხელეთა უკრაინად ეჩვენებათ, რაც იმათის აზრით, შედეგია სისუსტისა, ვიდრე დიდულოვნობისა. ბევრნი თავადთაგანნი ამბობენ, რომ საქართველოს მმართვა ისე არ შეიძლება, თუ არ სწრაფისა და სასტიკის სასჯელითაო. აუქარებლად ცნობათა შეკრება და კანონიერი გარდაწყვეტა საქმისა იმათ ვერ შეუშევნებიათ და ვერ აუტანიათ და ზოგიერთი იმას უფრო ადვილად მოურიგდება, რომ იმავე დღეს ყურები დასჭრან, ვიდრე რამდენსამე თვეს ზოგიერთს სასჯელს ელოდდეს. თავად-აზნაურობას გლეხ-კაცობაზედ უკეთესი აზრი და შეხედულობა არა აქვს წესიერებასა და სამართლიანობის შესახებ». ერთხელ თავ. ციციშვილს უნდოდა დაპატიმრება ერთის სოფლად მცხოვრებლის აზნაური შვილისა, ხოლო რადგან იმ სოფლად ჯარი არ იდგა, სოხოვა ზოგი ერთს მეზობელს იმ აზნაურიშვილისას, თქვენ ხომ არ იყისრებთ იმისს დაპატიმრებასაო. იმათ უპასუხეს, რომ დაპატიმრებით ვერ დავაპატიმრებთ, ხოლო თუ გვიბრძნანებთ, თოვით მოვკლავთო... არცერთი ქართველი სასამართლოში არ წავა, თუ ძალით არ იქმნა წაყვანილი და, როდესაც სახლში ჰიზის არხეინად, ვერ გაუგია. რად უნდა შევიწუხო თავი და წავიდე იქ, სადაც წასვლა არ მინდა, მხოლოდ იმრომ რომ მიბარებენ!.. ერი მიეჩიდა და მიეთვისა სასამართლოს სწრაფსა და სიტყვიერს, თუმცა სასტიკს-კი. ასეთს სამართლასა სოხოვდნენ ქართველები თავისს მეფეებსა და მდივან-ბეგებს.

რუსეთის მთავრობა სულ სხვაფრივ იქცეოდა. იგი თავს არა სჭრიდა, ურჩებსა და ავაზაკთ სარზედ არ ცვამდა, ქუსლებში არა სცემდა, თვალებს არა სოხრიდა, ხელებსა და ყურებს არა სჭრიდა... ჰუმანურად ჰმოქმედებდა. ამ გვარად, რუსეთის მთავრობა, კავკასიელის აზრით, სუსტი იყო, ხოლო გაჭიანურებული და აუქარებელი მიწერ-მოწერა, ჰუმანობა, ფორმალიზმი ეწინააღმდეგებოდა კავკასიის

ერთა ჩვეულებას, იმათს აზრს, მართლმსაჯულებისა, ძალისა და უფლების მოქალეობათა შესახებს ამესის მოპყა შედეგად, რომ კავკასიაში რუსთა მთავრობამ ჯეროვანი წესი ვერ, დაადგინა, ხალხი უფრო თავს აეშვა, გათხსირდა და ოუმცა გარევნად თითქოს მშვიდობიანობა პსუფევდა, მაგრამ ნამდვილად ცოტ-ცოტა მზადდებოდა ის, რამაც შემდეგში იჩინა თავი: ქურდობა, ავაზაკობა, ძარცვა, ძალ-მომრეობა და მრავალი სხვა უკანონობა ჩვეულებრივი ამბავი შეიიქმნა. მთავარი შეცდომა-კი ის იყო, რომ ამ ქვეყნის გამგეთ არ იზრუნეს და თავისს დროზედ საჭირო ლონე არ იხმარეს კავკასიელთა საერთო შეიარაღების წინააღმდეგ. იმ ორგე-მარგე დროს, რომელიც დადგა საქართველოს რუსეთთან შეერთების უას, ყოველთ უწინარეს კავკასიელთათვის -იარაღი უნდა ეყარათ, რომ მდაბიო ხალხს ხელში იარაღი არა ჰქონდა და ამით იდვილად არ შესძლებოდა მისი ბოროტად ხმარება.

შემდეგ იმისათვის უნდა ეზრუნათ, რომ ხალხი განვითარებულიყო და ცოდნა წერა-კითხვისა გაერცელებულიყო, მაგრამ ამ მხრივ არა გააკეთეს-რა, არა იზრუნეს-რა და საუკეთესო დრო დაპარგეს. ამასობაში ძარცვამ, ძალ-მომრეობამ, ავაზაკობამ ფესვი გაიდგა, იმატა. ვნახოთ ახლა, რა ლონე ილონეს ქვეყნის გამგეებმა ამ ბოროტების აღმოსაფხრელად. ამ მხრივ წარსულს გადავხედოთ, რომ შევიგნოთ, რა დაგვრჩენია გასაკეთებელი მომავალში.

ყოველივე ის ლონე და სახსარი, რომელსაც ჩვენი მთავრობა ჰემარობდა ავაზაკობის წინააღმდეგ დღევანდლამდის, შეიძლება განაწილებულ იქმნას ამ გვარად: ა) საზოგადო, რომელიც მთელს რუსეთში ჰმოქმედებდა, და ბ) განსაკუთრებული, საკუთრივ კავკასიისათვის შემოლებული. პირველს ეკუთვნის სასჯელი, აღნიშნულნი სასჯელთა დებულებაში ძარცვა-გლეჯისათვის და აგრეთვე სამხედრო დადგენილებათა კრებულში. მეორე განსაკუთრებულ კანონად ჩაითვლება მხოლოდ კავკასიაში შემოლებული ლონისძიებანი. ა) ავაზაკთ დაფარვის წინააღმდეგ და ბ) ავაზაკების მოსაპობლად და ავაზაკთ აღმოსაჩენად. მთავრობის აზრით, ავაზაკთ დაფარვის წინააღმდეგ კარგი საშუალებანი იყო: ა) დამნაშავეთა და

საეჭვოთა დასასჯელად: 1) აღმინისტრატიულის წე-  
სით გაგზავნა იმათი, რომლებზედაც ეჭვი ჰქონდათ,  
რომ ავაზაკობენ, ან ავაზაკებს ხელს უმართავენო; 2)  
ციმბირში გაგზავნა სოფლის საზოგადოებათა გა-  
ნაჩენის ძალით; 3) აღკრძალვა იმ სოფლელთათვის  
ქალაქებში ცხოვრებისა, რომელზედაც ეჭვსა აღე-  
დნენ, რომ ჰყარავენ ავაზაკებს, ნაქურდალს ჰყიდი-  
ანო და სხ. და 4) შესანიშნავ ავაზაკთა საქმისა  
მშვიდობიანობის დროს სამხედრო დროის სამართ-  
ლისამებრ განსასჯელად სამხედრო ოლქის სასამართ-  
ლოში გარდაცემა, და 5) სხვათა უფლების შემლახ-  
ული საშუალებანი: 1) დაპატიმრება გავარდნილ  
ავაზაკთა ოჯახობისა; 2) იმ სოფლის საპატიო კაცთა  
დაპატიმრება, სადაც ავაზაკებმა იჩინეს თავი, მაგრამ  
არ იქმნენ აღმოჩენილნი და შეკვეთით მიერ დასა-  
ხელებულნი; 3) ეკზეკუცია; 4) საურთეერთო თავ-  
დებობა (დანაკარგის ზღვევა აღმოუჩენელ ავაზაკთა  
მაგივრად); 5) სოფლისაგან ამის უფლების ჩამორთ-  
მევა, რომ მამასახლისი ამოირჩიონ და ასეთის მამა-  
სახლისის მთავრობისაგან დანიშნვა; 6) სოფლის სა-  
ზოგადოებაში იარაღის ტარების აღკრძალვა, და 7)  
იმ ადგილში კავკასიის მხრის მმართვა-გამგეობის  
დებულების მე-27 მუხ. შემოღება.

დასასრულ, დამოუკიდებელნი ღონის-ძიებანი,  
ავაზაკობის მოსასპობლადა და ავაზაკთა აღმოსაჩე-  
ნად შემოღებულნი: 1) პოლიციის მოხელეთა გამ-  
რავლება; 2) სოფლის დარაჯთა შემწეობით აფაზაკთა  
შეპყრობა; 3) სოფლელთაგან დარაჯების დანიშნვა  
და იმათის შემწობით ალაგმვა ავაზაკებისა; 4) თა-  
ვალ-აზნაურთა წარმომადგენლების მიერ ავაზაკობაში  
შენიშნულთა დასახელება (ქუთაისის გუბერნიაში) და  
სხ. 5) დევნა ავაზაკებისა ჯარისა და ყაზახების შემ-  
წეობით; 6) ცალკე ოფიციერთა და მოხელეთა გაგ-  
ზავნა ამ საქმის ასასრულებლად, და 7] სამღვდე-  
ლოების მიერ დარიგება.

ამის გარდა, კავკასიის მთავრობას ამ საგნის  
შესახებ რამდენიმე პროექტი ჰქონდა შემუშავებული:  
ა) პოლიციის უფლების გაფართოვება წინასწარ გა-

მოძიებისათვის სასამართლო ანუ მემიებელი პოლი-  
ციის შემოღებით; ბ) ცვლილებათა შემოღება სისხ-  
ლის სამართალში ისე, რომ მსაჯულთა შორის ერთს  
წარმომადგენელნიც ერივნენ, და გ) შესანიშნავ საქ-  
მეთა სამხედრო სასამართლოში გარდაცემა.

ჩვენი საზოგადო სისხლის სამართლი საკმაოდ  
სასტიკია და მკაცრი ავაზაკობასთან საბრძოლველად;  
იგი ყოველთვის ჯეროვანად შეფერებულია დანაშა-  
ულთან და, ჩვენის აზრით, ავაზაკობასთან ბრძოლა-  
ში უფრო მეტი მნიშვნელობა იმასა აქვს, რომ სასა-  
მართლოს ხალხზედ გავლენა ჰქონდეს. თუმცა დამ-  
ნაშავენი ბევრსა ცდილობენ დაუსხლტნენ ხელიდგან  
სასამართლოს ცრუ მოწმეთა შემწეობით, მაგრამ რა  
კი განაჩენი წარმოთქმულია, ყოველი მძარცველი,  
ყოველი ავაზაკი ქედს იხრის ამ სამართლის წინაშე,  
რადგან კარგად იცის, რომ მისი განაჩენი პირუთვ-  
ნელია, შეძლებისამებრ სამართლიანი და ყოველთვის  
კანონზედ დაფუძნებული. ის პატივისცემა, რა პა-  
ტივის ცემითაც ეკიდებიან მკვიდრნი სასამართლოს,  
უფრო-კა მოსამართლეებსა და გამომძიებლებს, აშ-  
კარად გვიჩვენებს, რომ ხალხს უკვე შეგნებულ-შე-  
ხორცებული აქვს სასტიკად კანონიერობა სამართ-  
ლისა და მოსამართლეთა მოქმედებისა. ამ მხრივ სა-  
სამართლოს და მოსამართლეებს დიდი ზეობრივი  
გავლენა აქვთ ხალხზედ და ამიტომ ყოველივე ის,  
რაც-კი ამ გავლენას ხელს უშლის, უნდა ექსორია  
ქმნილ იქმნას სახელმწიფო აზრისა და ერის საკე-  
თილდღეოდ. ჩაუნერგეთ ხალხს გრძნობა კანონიე-  
რობისა და ავაზაკობა ერთი ორად იკლებს და შემ-  
ცირდება.

აღმინისტრაციას კანონით დიდი ძალა უჭირავს  
ხელთ ავაზაკობასთან საბრძოლველად, მხოლოდ სა-  
ჭიროა, რომ ეს ძალა გონიერად და ხერხიანად იყოს  
მოხმარებული. თუ პოლიციის მოხელეებად ზეობის  
მხრივ უფრო უკეთესნი და განათლებულნი კაცნი  
იქმნენ დანიშნულნი, ბევრი ცუდი ჩვეულება ხალხს  
შორის შესუსტდება და დანაშაული ისე სასტიკად  
აღარ იჩენს თავს, ძალ-მომრეობა, ძარცვა-გლეჯა,

ავაზაკობა და კაცის კვლა შემცირდება. კარგად შერჩეული და შედგენილი პოლიცია დიდი ზნეობრივი ძალაა სახელმწიფოში.

აღმინისტრაციას დიდი ძალა აქვს, მაგრამ მან მაინც ეს არ იქმარა და გამოითხოვა მეტი უფლება. მთავარ-მართებელს კავკასიისას შეუძლიან ესა თუ ის მავნებელი წევრი საზოგადოებისა განუსამართლებლად, განუსჯელად განაძევოს. ამ უფლებით იმ მხრივ სარგებლობდნენ, სხვათა შორის, რომ ქალაქებში ნებას არ აძლევდნენ თავი მოეყარა უქმად, უსაქმოდ მოსიარულე ახალგაზზობას, რომელთაგანაც უმეტესობა ქურდობასა და ავაზაკობასა ჰყიდებს ხელს. ასეთს განკარგულებას თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სასურველი არ არის, რომ სოფლის უქმა ახალგაზზობამ ქალაქში მოიყაროს თავი. ეს ახალგაზზობა სოფლად შრომას ერიდება, გაურბის და ქალაქს ეტანება, სადაც ლუკმა პურის მოპოვება უფრო ადვილია. აქ იგი მზარეულობს, მოსამსახურეობს და თან ქურდობს და ატყუებს თავისს ბატონებს, ხშირათ ავაზაკებს დასხამს ხოლმე თავს და თითონაც ამათთან ერთად მონაწილეობას იღებს. ისინი-კი, რომლებიც ნოქრებად დგებიან სხვა-და-სხვა დუქნებში, ძალიან ხშირად ამ დუქნებს ავაზაკთა და მძარცველთა ბუდე-ბუნაგად გადაჭმნიან ხოლმე, ნაქურდალის საწყობად. ამიტომ დიდად სამართლიანად იქცევა აღმინისტრაცია, რომ ბიწიერ მკვიდრო თავისს სამუდამო საცხოვრებელს ალაგსა ჰგავნის, ქალაქს აშორებს, აჩვენებს მას გზას შრომისას, იმ ადგილს, სადაც ქალაქსავით საავაზაკოდ საცოცხლელი არა ექმნებათ-რა, არა დახვდებათ-რაო.

დასასრული შემდევში.

## ქართველი ფრანგების საქმე-ლიტერატურა

გაზ. „კავკაზში“ დაისტამბა შვენიერათ დასაბუთებული სტატია ქართველი ფრანგების შესახებ ბ-ნი იზაშვილისა. მკითხველს ეკოლინება, რომ ამ ბოლო დროს ქართველი ფრანგები, სარწმუნოების მხრით, მეტათ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ. სომხის კათოლიკებმა ოლძრეს დავა და კიდევ შეისრულეს თავის წალილი, რომ ქართველი ფრანგები შერიცხული ყოფილიყვენ სომხის კათოლიკებათ. ამას მოჰყვა დიდი სამწუხარო მდგომარეობა ქართველი ფრანგებისა იმის გამო, რომ სომხის კათოლიკების სამღვდელოება ჩვენ ფრანგებს ძალას ატანენ წირვალოცვა სომხურ-ლათინურათ აასრულონ. სომხის კათოლიკები ამას კიდევ არ ჯერდებიან, იმათ უნდათ ჩაიგდონ ყველა ჩვენი ფრანგების ეკლესიები და მათი ქონებაც სომხის კათოლიკის სამღვდელოების ხელში უნდა გადაიდესო, დიდათ შეწუხდენ ჩვენი ფრანგები ამით. მამა-პაპიდან დაწყებული ჩვენი ქართველი ფრანგები ზოგიერთ მღვდელ-მსახურებას და ლოცვებს თავის სამშობლო ქართულ ენაზე ასრულებდენ: ამას გარდა ძველადგანვე შეძენილი საეკლესიო ქონებაც მისთვის ჰქონდათ, რომ უზრუნველ ეყოთ ყოველგვარი ეკლესიის საჭიროება და ეკლესიასთან რომ სასულიერო ქართული სკოლები ჰქონდათ გამართული, ისინი ესაზრდოებინათ. ახლა სომხის კათოლიკები ითხოვენ, რომ ქართულათ ნუ ლოცულობთ, სომხურათ ილოცვთო და სკოლებშიაც სომხურ ენაზე ასწავლეთო. ქართველ ფრანგებს ვერ გაეგოთ, საიდან მოხდა, რომ ასეთი განკარგულება ნება-დართული იქნა მთავრობისაგან.

მაგრამ, როგორც ჩანს ბ-ნ იზაშვილის სტატიიდან ჩვენი ფრანგების მწუხარებას მაღა ბოლო მოელება, რადგან უმაღლეს მთავრობას ახლა ხელო აქვს საქმიან მასალა, რომლითაც ცხადათ მტკიცდება ძალ-მომრეობა სომხის კათოლიკებისა და ასეთ არა სასიმოვნო მდგომარეობას ბოლო უნდა მოელოს.

(„კვალი“)

## წერილი “გუგუმისი”-ს ჩედავის იღართ.

ქ. ქუთაისიდან დაბა ხონისკენ მიმავალი გზა-ტკეცილის მახლობლად მიმდინარეობს ერთი პატარა ლელე «ოღასკურა», რომელიც ყოველ ზამთრისა და წვიმიანობის დროს უზომოდ აღიდება, გადმოვა გზაზე და მთელი 6 ვერსის მანძილზე მიმდინარეობს ზემოხსენებულ გზატკეცილზე. ასეთი აღიდების დროს ბევრ უბედურებას ახდენს ეს ლელე. 1895 წელს ამ ლელემ დაახრჩო ორი კაცი, ერთი ქვეითი და ერთიც ცხენოსანი. ამ ლელეს და აღიდების დროს მდინარეს ქუთაისის მახლობლად ერთი ვერსის მანძილზე გაუკეთეს ინჯინერებმა ჯებირი, რომ აღიდების დროს გზაზე არ გადმოსულიყო, მაგრამ მათი ნაშრომი მოგლიჯა ლელემ და აღიდების დროს თავისუფლად გადმოდის გზაზე. სოფ. ზედამაღლაკს მცხოვრებთ შეძლებულებმა კაცებმა თავად ნიკოლოზ და იაგორ ნიუარაძეებმა განუცხადეს მთავრობას, რომ ჩვენ შემოწიტანთ გირაოდ რამოდენიმე ათასი მანეთის მამულს და გინდ ფულს, ოღონდ მოგვეცით ლირებულ ფასად და ჩვენ გაუკეთებთ ამ ლელეს ისეთ „დამბას“ თხრილებს, რომ ეს წყალი აღიდების დროს გზაზე არ გადმოვა და თუ გაფუჭდა, მაშინ ჩვენ მიერ შემოტანილ გირაოზე ხელს ავიღებთ, მაგრამ ამ განცხადებას ყურადღება არავინ მიაქცია. ამ თვის ოქტომბრის 28 დელექტით მოვდიოდით დაბა ხონიდგან ქ. ქუთაისში რვა სული. როცა მდინარე გუბის წყალს გამოვშორდით, ვნახეთ, რომ გზაზე დიდი ნიავლვარი მოდიოდა. წყალი მუცლამდი ადგათ საწყალ ცხენებს, მაგრამ საწყლები ძალ და ძალ აპობდენ წყლის ზვირთებს და მიათრევდნენ ეტლსა. როდესაც 6 ვერსი გავიარეთ, გზაზე წყალმა მოიმატა, ცხენები დაიღალნენ და გაჩერდნენ. მეტლე დაუზოგავად სცემდა ცხენებს მათრასს, მაგრამ ცხენები აღარ ინძრეოდენ. მოვინდომეთ უკან დაბ-

რუნება. მეტლემ დიდის შრომით მიაბრუნა ცხენები და დელეჯანი, მაგრამ ის დღე უქვენს მტერს და ადგეს, რაც შიში და მწუხარება ჩვენ დაგვადგა. ორი ცხენი და დელეჯანის ბორბლები გადაგვივარდა გზის ნაპირას გავლებულ თხრილში და ისიც იყო შელექანი უნდა გადაბრუნებულიყო და ჩვენ უნდა ქვეშ მოვძლვანებოდით, მაგრამ დიდის შიშის და წვალების შემდეგ გადავრჩით ამ უბედურებას. გავბრუნდით უკან და გვინდოდა ღუქნამდის მიგვეხწია, რომ ღამე იქ გაგვეთია მაგრამ ეს იმედიც გაგვიცულდა, რადგან დაღალულმა ცხენებმა ვერ შეიძლეს სიარული. ამიტომ იძულებული შევიქენით, რომ წვიმიანი და ცივი ღაგვეტარებია უზომოთ დასველებულ ხალხს დელექანში. ოთხი ადამიანი უეჭველად ან მოვკვდებოდით და ან ძლიერ ავად გავხდებით, რომ იქვე გზის მახლობლად მცხოვრებს მღვდელდ მ. ტარასი ტყეშელაშვილს არ მივეღეთ სახლში და არ გადავერჩინეთ სიკვდილს, რისთვისაც უზომო მაღლობას ვუძლვნით მ. ტარასის. იმავე ღამეს ფოსტის მატარებელი ეტლი ერთის ფოსტალიონით, ორის ყარაულით და ემშიკითურთ მთელი 5 საათი იღვნენ იმავე აღგილს, სადაც ჩვენ გადავრჩით დახრჩობას. და ვინ იცის, ფოსტას რა უბედურება შეემთხვეოდა იმ ღამეს, რომ მაღლაკის მამასახლისს არ გამოიკილებია ფოსტა იმ საშიშ გზაზე კამეჩების შემწეობით სწორეთ გასაოცარია, რომ ადმინისტრაცია ამ გზას ყურადღებას არ აქცევს. გარდა ამისა გუბის წყალზე ხილი გაფუჭებულია და კერძო პირებს პორმები გაუკეთებით და რაც უნდათ, იმას ახდევინებენ მგზავრთ. ნეტავი ხილი როზის გაკეთდება? ნუ თუ ისე უნდა იტანჯებოდეს ხალხი უგზობით და მეტე ისიც ხონის გზაზე!..

ლუკა თათეიშვილი.

**ს ა ნ ი თ ა \*).**  
(შექმარისა)

დამსახურება, მე ვიხილე, რომ იგი ქვეყნად  
ვითა გლოხაკი—უბინაო ხეტიალობდა, და სიღარიბე  
და სიღარიბე ხუმარისა ტანისამოსში მორთული  
მორთული იყო და ძლიერთ წინ იმანჭებოდა.

ვიხილე, ვითა გარევნილებას, ბიწიერებას,  
რომ გაეხადათ მათ სათრევად უმანკოება,  
რომ ძლიერთ წინა ნიჭისაც თურმე ედრიკა თავი  
და მასთან ერთად დუმდა კიდევ გონიერება.

ვიხილე, თუ ვით სიყვარულსაც, პატიოსნებას  
რაგვარად გმობდენ და ჰყიუხავდენ, შეურაცყოფდენ,  
და ვით სწავლულსა, დაბლომინ გარეთა ტყავში,  
შიგნით რწმენანი ამაყურნი თურმე ბუდობდენ.

ვიხილე კიდევ, რომ სიკეთო ბორკილი იყო  
და ბოროტება—თავისუფლად გაშვებულიყო!..  
და დავიღალე!.. სიკვდილსაც კი მე ვნატრულობდი,  
მაგრამ რათ მოვკვდე, თუ ქვეყნას შენ დამრჩებოდი!..

**ჭ ჭ ჭ .**

## ახალი ჯგუფი და შერიშვნები.

ქუთაისის საავადმყოფოს დირექტორი ბ. სამსონ  
ბეგარიონის ძე თოფურია დაინიშნა ქუთაისის სა-  
სამართლო ოლქის საპატიო მომრიგებელ მოსამარ-  
თლედ.

\* სასიმღერო სიმები, ანუ ჩანგი,

უმაღლესი სასულიერო მთავრობის განკარგუ-  
ლებით იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქი-  
ებში უკვე დაარსდა კამისიები, რომელთაც უნდა  
გამოცადონ მღვდლების, მთავარ-დიაკვნის და მედა-  
ვითნის აღილის მოპოვების მსურველი, რომელთაც  
სწავლა არ დაუსრულებიათ არც ოთხ-კლასიან სა-  
სულიერო სასწავლებელში და არც სასულიერო სე-  
მინარიაში. ეგზამენტისაგან თავისუფალნი არიან  
მხოლოდ სემინარიაში კურსი დასრულებულნი. ოთხ-  
კლასიან სასულიერო სასწავლებელებში სწავლა-დამ-  
თავრებულნიც განთავისუფლებულნი. არიან ეგზამე-  
ნებისაგან მედავითნის თანამდებობის მიღებისათვის.  
კამისიებს სახელმძღვანელოდ მიცემულნი აქვთ პრო-  
გრამმები, რომლის თანახმად უნდა მოახდინონ გა-  
მოცდა. ეს პროგრამმები მაღლ გამოცხადებული იქ-  
ნება. ამ კამისიების დაარსების შემდეგ ვისაც ოთხ-  
კლასიანი სასულიერო სასწავლებელში არა აქვს  
სწავლა დასრულებული, იმას მედავითნის თანამდე-  
ბობის მიღება არ შეუძლია. ვისაც სემინარიაში არა  
აქვს სწავლა დასრულებული, იმას კამისიის გამოუ-  
ცდელად მღვდლობის ხარისხის მიღება არ შეუძლია.  
იმერეთის ეპარქიაში კამისია არის დაარსებული ქუ-  
თაისის სასულიერო სემინარიასთან ამავე სემინარიის  
რექტორის თავსმჯდომარებით.

\* \*

ნოემბრის 13, დღით ხუთშაბათს, დიდის დღე-  
სასწაულობით აკურთხეს ქუთაისის სასულიერო  
სემინარიის დროებითი ეკკლესია, რომელიც მოთავ-  
სებულია ბ. მ. დარახველიძის სახლებში, სილაზე.  
ეკკლესიის კურთხება შეასრულა სემინარიის რექ-  
ტორმა არქიმანდრიტმა მ. ბერიამენმა თავისი თანა-  
შემწის მღვდელ-მონაზონის მ. დიმიტრის და სხვა  
სამღვდელო პირთა თანამწირველობით. წირვის გა-  
თავების შემდეგ მ. რექტორმა წარმოთქვა ფრიად  
მგრძნობიარე სიტყვა, მიმართული სემინარიის მო-  
წაფებისადმი. ამ სიტყვის შეტი კაი შთაბეჭ-  
დილება მოახდინა მსმენლებზე. სიტყვა იყო მოკლე,  
მაგრამ მეტად მგრძნობიარე. ჩვენის აზრით ეს სიტ-  
ყვა სემინარიის ყველა მოწაფის გულში დარჩება  
სიკვდილამდის.

# სახელმძღვანელო, საქაურიადლები, საჭირო და სასამარებლო ცნობათა განცხავილება.

მზის სინათლე. მზის სინათლე უკეთესი წამალია ყოველგვარი შაკტერიების დასახოცათ; სადაც სინათლეა, იქ ყოვლად შეუძლებელია, რომ ბაკტერიაშ ფეხი მოიკიდოს. ამიტომ არის, რომ ის სახლია კარგი, რომლის ყველა ოთხებში მზე თავისუფლათ შედის. ამავე მიზეზის გამო სარეცხის გაშრობა უმჯობესია მზეზე, ვიდრე ჩარდაბში და საზოგადოთ ჩრდილში. ამავე მიზეზის გამო საჭიროა, რომ კაცი, რაც შეიძლება ხშირათ იყოს გარეთ ცის ქვეშ.

რა მოსდევს თამბაქოს მოწვას? ექიმი სოლეს აზრით, თამბაქოს წევა არის ერთი უმთავრესი მიზეზი მეხსიერების შესუსტებისა. ამიტომ ის მოწავენი, რომლებიც თამბაქოს წევას ეწყობიან, მარად ცუდათ მოსწავლე შეგირდებთა რიცხვში ითვლებიან.

თ ფლი. თაფლი მეტათ ნოკიერი და ადვილ-მოსანელებელი საჭმელია. მისი ხმარება საჭმელად შესამჩნევად უზატებს ადამიანს ენერგიას, ლონეს, სიპენიტულეს, სულის ძალებს, მოსაზრებას და მშვიდობიან ძილს.

უნდა ვსვათ თუ არა ცივი წყალი სადილის დროს? სადილის დროს არ უნდა ვსვათ წყალი, რაღაც იგი კუჭის აცივებს, კუჭის წვენს აწყალებს და ყველა ამით საჭმლის მონელებას აძნელებს. საზოგადოთ უნდა დაიდვათ წესათ სვათ წყალი ცოტ-ცოტა და ისიც - ან ნახევარი საათის წინ სადილობამდის და ან ერთი საათის შემდეგ სადილობიდამ.

მლვრი წულის სწრაფად დაწმუნდის მშვინიერი ს შეალება. ერთ ვედრო წყალზე აიღეთ  $\frac{1}{2}$  ჩაის კოვზი სოდა და 50 წვეთი ნახევარხლორიანი რკინა (полутора-хлористаго железа, аттокауст. моногидрат), ჩაუშვით წყალში და კარგათ დაურიეთ. უწმინდურება საჩქაროთ ძირში დაიღებას.

მტვერი. ერთდენით მტვერს ყველგან, სახლში და კარში, რაღაც მტვერი შეიცავს კირის, ქვების

ნახშირის, სხვა-და-სხვა მარილის, ლეფონების, მინების, ტყავის, ბეჭვების, დამიწებულტნების, ცდამზანის და სხვა ცხოველების ტყავის ნაწილებს და, რაც უფრო საშიშოა, სხვა-და-სხვა სენის სოკოებს და უხილავ ცხოველებს - ბაკტერიებს ანუ მიკრობებს. შესამცირებლათ რამდენათმე მტვრის მავნებლობისა ადამიანზე, საჭიროა, რომ მარად ცხვირით ვსუნთქავდეთ.

მწველელ ფურებზე და რძეზე. რძის მეტანაკლებობა და სიკარგე რომელიმე ფურისა დამოკიდებულია არა მხოლოდ საჭმელზე, რომელსაც ფურს ვაძლევთ, არამედ იმაზედაც, თუ როგორა ვწველით ფურს. მაგალითად, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ვექცევით ფურს. როცა ფური მოწველის დროს ჭირით დგას, მაშინ რძესაც მეტს იძლევა და უკეთესსაც. ზოგიერთ ფურებს ეშინიანთ ან ეჯავრებათ თითებით ღიტინი; ამისთანა ფურებს დიას ფრთხილათ უნდა მოექცეთ. თითები თბილ წყალში ჩასველოთ ხოლმე და ისე მოწველოთ... ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ფური დღეში არჯელ უნდა მოიწველოს, მაგრამ ეს შეცდომაა: რადგანაც ზაფხულის დღეები საკმაოდ გრძელებია, სამჯერ მოწველა სჯობია: დილით ექვს საათზე, შუა-დღისას 12 საათზე და საღამოზე — ექვს საათზე. წველით მუდამ იმან უნდა მოწველოს, რომელი კაციც თუ დედაკაცი ფურო შეჩვეული ჰყავს ფურს, ე. ი. რომელიც მუდამ უვლის მას. სიწმინდე ხელებისა და საწველელისა არის პირველი მოვალეობა მწველელისა; ამიტომ კიდრე წველის შეუდგებოდეს, უნდა ხელები საპირო დაიბანოს და საწველელი კარგათ გარეცხოს. საწველელიდამ რძე საჩქაროთ უნდა გადაწუროთ წმინდა საცრით სხვა ჭურჭელში, რადგანაც დიდ-ხანს დანარჩენება რძისა საწველელში არ ვარგა. თუ ნალები გნებავთ მოხადით რძეს, რძე უნდა განიერ ჭურჭელებში ჩასხათ, სიღრმით არა სამ გოჯზე (დიუმზე) მეტი და ისე დადგათ. ამისთვის უკეთესია იხმაროთ თიხის ჭურჭელი, მხოლოდ უნდა ეცადოთ, რომ ძლიერ წმინდა იყოს მუდამ და არც თბილი იყოს, როცა მათში რძეს ასხამ.

თუ ახალ მოწველილ რძეს ცუდი გემო ან სუნი აქვს, რაიცა მოხდება ხოლმე მაშინ, როცა ფური ცუდ ბალახს მოსმოვს, მაშინ მიუმატეთ რძეს ერთი მტვერი ადულებული წყალი სანამ ნაღების მოსახდელ ჭურჭელში გადაიღებდეთ რძეს და

კული სუნი და გემო სულ დაეკარგება. სხვა-და-  
სხვა ფურის რძე ერთმანერთში არასოდეს არ უნდა  
აურიოთ ხოლმე. თუ გნებავთ შეიტყოთ რძის სიკარ-  
გე, აიღეთ თეთრი შუშის რამდენიმე ერთტოლი  
ჭიურჭელი, ჩასხით მათში სხვა-და-სხვა ფურის რძე  
და დაფით, სანამ ნაღებს მოიგდებდეს. რომელი  
რძეც მეტ ნაღებს მოიგდებს, ის უკეთესი ყოფილა.  
ასეთი გამოკლით გაიგეს, რომ რძეს შეუძლიან  
მოგვცეს  $5\%$ -დამ  $12\%$ -მდის ნაღები.

უვავილის აცრა. უკეთესი დრო ყვავილის აც-  
რისა არის ბალლობაში, ვ თვიდამ ნ თვემდის. უნდა  
ერიდოთ აცრას ზაფხულის ცხელ დღეებში და არც  
სუსტი აგებულების ბავშვებს უნდა აუცრათ. ხოლო,  
თუ ადგილობრივ ყვავილი მძვინვარებს, მაშინ კი  
მუდამ და ყველას უნდა აუცრათ ყვავილი. თუ პირ-  
ველ აცრაზე ყვავილი არ გამოაჩნდა, ორი კვირის  
შემდეგ ხელმეორეთ აუცერით, ხოლო თუ კიდევ არ  
გამოაჩნდა, ერთი წლით უნდა გადიდვას აცრა. რა-  
დგანაც შვიდი წლის განმავლობაში აცრა ჰყარგავს  
თავის ძალას, ამიტომ ამის შემდეგ აცრა უნდა გა-  
ნიშვნორთ.

ჰერის სიწმინდე. ბერნის (შვეიცარიაშია) პაროფესორმა ფრედენრეხმა და პარიუის მკურნალმა მიქელმა გამოიკვლიეს ჰერის სიწმინდე შვეიცარიის რამდენიმე ადგილას, ამათ დასკვნეს, რომ წმინდა ჰერი იწყება 2—4 ათასი ადგილის (7—9 ათასი მწყერთის) სიმაღლეზე ზღვის ზედაპირიდან; სულ უმდაბლესი აჯგილების ჰერი კი გავსილია სხვა-და-სხვა სენის აუ-აჩებელი ბაკტრერიებითათ. მაგრამ ბარის სოფლელებს მაინც შეუძლიანთ ინუგეშონო, რომ მათი ჰერი 700-ჯვრ უფრო ნაკლებათ არის სავსე ბაკტრიები-ბითა, ვიდრე ჰერი პარიუისათ, ხოლო პარიუის ჰერი ათასჯერ უფრო წმინდაა, ვიდრე ევროპის სხვა ქალა-ქების ჰერით.

**მეტილულიკინი.** ერთოვანებული  
გიგანტურობა

ჩვენ მივიღეთ უურნალში დასაბეჭდათ შემდგევი  
წერილი ეკულესის სასარგებლოდ შეწირულებათა  
გამოსაკვადებლად:

გ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ,  
რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მაღ-  
ლობა გამოიუცხადოთ იმ პირთ, რომელთა ჩემის  
თხოვნით შემოსწირეს განსაახლებლად რწმუნებულის  
ჩემდამო გეჯუთის ზედ მიწერილს წმინდას გიორ-  
გის ეკლესიას 502 მან. ფულად და ნივთებით:  
აზნაურმა ვასილი ხახუს ძე მახარაძემ—30 მანეთი,  
სტაროსტამ—აზნაურმა პავლე ივანეს ძე მახარაძემ  
და მისმა ძმებმა—58 მან. სისო ჯლამაძემ და მისმა  
ძმებმა—98 მანეთი, ფარნა კუპრეიშვილმა, მოსე ქავ-  
თარაძემ და მათმა ძმებმა—75 მანეთი, როსტომ კო-  
ხიაშვილი, ჯარუ ჯოჯუმი, სტეფანე ჩხვიკიაშ და მათმა  
ძმებმა—55 მანეთი, წვრილად შემოსწირეს სხვა-და-  
სხვა პირებმან 26 მანეთი, ალექსი ქუჩის ძე ჯოჯუმი  
ერთი დიდი ზარა, ღირებული 149 მანეთად და ლე-  
ვან გიორგის ძე ჯლამაძემ სეფისკვერი და ზედაში,  
ღირებული 10 მანეთად. იმედი მაქსი, რომ სხვებიც  
მიპარდენ ამ პატიოსან და ლვოთის-მოსავ პირთა სა-  
ჭიბურს შეწიროლებას.

მღ. ბესარიონ თორქია

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ,  
რომ თქვენის პატივცემულის უკრნალის «მწყემსის»  
საშუალებით მადლობა გამოუტადოთ როგორც შე  
აგრეთვე ჩემმა მრევლმაც რწმუნებულს ჩემდამი ს  
ფარცხანაყანების წმიდის გიორგის ეკკლესიის შემომ-  
წირველთ. აი სია შემომწირველთა: ნინო ბიჭია გუ-  
ბელაძის ასულმა, და სიმონა სვანაძისამ შემოსწირა  
ტრაპეზზე სახმარებელი ჯვარი, ღირებული 8 მან  
გლეხმა გრიგოლ მიქელის ძემ კოხრეიძემ საცეცხლუ-  
რი, ღირებული 7 მან და 5» კაპ. და გლეხმა სპი-  
რილონ გიორგის ძემ გუბელაძემ თანაარსი, ღირებუ-  
ლი 7 მან. და 50 კაპ.

პილება ხელის-მოწერა 1898 ფლისათვის ორ  
კვირებით გამოცემათა ჩართულს

## „მუშაქის“<sup>1</sup>

დ

რუსულ „ПАСТЫРЬ“<sup>2</sup>

ქურნალის ფასი:

12 თვით «მუშაქის» 3 გ. 6 თვით «მუშაქის» 2 გ.

— „რუსული „, 3 გ. — „, რუსული „, 2 გ.

— „ორვე გამოცემა 5 „ — „, ორვე გამოცემა 3 „

ზაზეთში ხელის-მოწერა შეიძლება როგორც  
კვირიდაში, აგრეთვე ქუთაისშიც. თბილისში  
წყარის-კუხის გამარტიულ ეჭულ საზოგადოების წიგნის  
მაღაზაში, ბ. შოთ ქურუა ჰელოან. ფოთში — დეკა.  
ნომ ბ. გრიგორ მაჭაროვან; საჩხერეში — ყრა ან  
ჩაგრძელება; სახლებაში — დეკანოზ დ. ხახუჭოვან.  
სადაც საზოგადოების სასწავლებლის მასწავლებელ  
სპირიდონ ან. ძაურაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიო გაზირებიდან  
მათ მოცელის წლით ორივე გათვალისწინების სამ გან ეთან.

რედაქტირა აქვს კინორიზები: ქუთაისში ხანანაშვილების  
სახლებში და კვირიდაში არა დაგაქტურის საკუთარ  
სახლებში.

ზარეშე მცხოვრებთა ეურნალის დაბარება შეუძლია  
ამ აღრესით: Въ Квирили, въ редакцію газеты  
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

1881 წელს უმაღლესად დამტკიცებული

## დაგრძელები საზოგადოება

## როსტი

(რუსული)

ს. პეტერბურგი. ბოლშაია მონსკაია. 37.

ძირისა და სათადარიზო თანხა 29,000,000 გ.

საზოგადოების მოქმედება:

## დაგრძელები სიცოცხლისა

ე. ი. თანხისა და შემოსავლისა ოჯახის ანუ სა-  
კუთარის მოხუცებულობის, ქალის მზითვის, ვაჟთა  
სტილებიდიების და სხ. უზრუნველ-საყოფელათ, გან-  
საკუთრებულ სახეირო პირობებითა და ისე, რომ  
დამზღვეველიც მონაწილეობას იღებდნენ საზოგა-  
დოების მოგებაში.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ლ. ლამბაშიძე.

1897 წლის 1 იანვრისთვის 『რუსების საზოგადოების დაზღვეულ იქმნაზე 41,397 იუნიკატი 102,694,700 მან.

დაზღვეულ უბედურ შემთხვევათაგან როგორც კერძო კაცისა, ისე საერთოთ ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა იმ პირობით, რომ დასაზღვევი შესატანი შემცირებულ იქნება დივი-დენდის ჩარიცხვისა გამო.

## დაზღვეული ცენზურისაგან.

ყოველგვარ უძრავისა და მოძრავის ქონების (შენობათა, მანქანებისა, საქონლისა, ავეჯისა და სხვ.)

დაზღვეული გასაგზავნის საქონლისა ზღვით, მდინარით, თუ ხელებით და აგრეთვე გე-შებისა.

განცხადება დაზღვევის მსურველთაგან მიღება და პოველგარი ცენზური ეგზავნება გამგეობას პეტერბურგში (ბოლშაია მონსკაია, საკუთარი სახლი, № 37); ტვილისში განყოფილებაში (სერგევის ქუჩა № 6); შუთაისში აგენტს თ—და ილარიონ პ. მიქელაძეს, (ქარგასლის ქუჩა, თავადაზნაურობის ბანკის სადგომი) და საზოგადოების აგენტებისაგან. იმპერიის ცენზურის ქალაქებში.

უგელურ შემთხვევისაგან დასაზღვევი ბი-ლეთები გვიავრებას, როგორც რკინის გზით, ისე გემებით მიმავალთ, მიეკეთოთ რკინის გზის საღ-გურსა და ნავთ-სადგურებზედ. 10—3

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალითერატურო განცოლისა: იმერეთის ეპარ-  
ქიის სამღვდელოების უკანასკნელი კრების საყურადღებოდ. —  
სოფლის ცოკორებიდან. — ჯუმათის ტაძარი. — კავკასიის იური-  
დიულ საზოგადოების კრება. — ქართველი ფრანგების საქმე. —  
წერილი რედაქტირის მიმართ. — სანოტა, (ლექსი). — ახალი ა-  
ბები და შენიშვნები.

საფილო და სასაჩვებლო ცენზათა განცოლი-  
ლება: შზის სინათლე, და სხ.

— შეწირულება და განცხადება.

Редактор-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 ноября 1897 г. ♦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакція журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.